თავი II

2016 წლის იანვარ-მარტის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

ეკონომიკური ზრდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2016 წლის პირველ კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან 2.3 პროცენტი შეადგინა. რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი იანვარში 0.8 პროცენტი, თებერვალში 2.6 პროცენტი, ხოლო მარტში 3.4 პროცენტი დაფიქსირდა.

ფასები

2016 წლის მარტში 2015 წლის დეკემბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 0.7 პროცენტით გაიზარდა.

2016 წლის მარტში 2015 წლის მარტთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 4.1 პროცენტით გაიზარდა. 2015 წლის შესაბამის პერიოდში ინფლაციის მაჩვენებელი 2.6 პროცენტი იყო.

წლიურ ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის სამმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა. სამომხმარებლო ფასები ჯანმრთელობის დაცვამ 0.96 და სურსათი და უალკოჰოლო სასმელებმა 0.84 პროცენტული პუნქტით გაზარდა, ხოლო ტრანსპორტმა 0.46 პროცენტული პუნქტით შეამცირა.

გაცვლითი კურსი

2016 წლის იანვარ-მარტში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ რყევებით ხასიათდებოდა, ხოლო მარტის თვეში ლარმა გამყარება დაიწყო. 2016 წლის მარტში 2015 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 3.3 პროცენტით გამყარდა და 2.32 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს სავაჭრო პარტნიორების კურსთან, გაუფასურდა 1.0 პროცენტით.

მონეტარული აგრეგატები

2016 წლის მარტში 2015 წლის მარტთან შედარებით M3 ფართო ფულის აგრეგატი 11.7 პროცენტით გაიზარდა და 12 936.6 მლნ ლარის ექვივალენტი შეადგინა, ხოლო M2 ფულის მასა 0.1 პროცენტით შემცირდა და 5 481.5 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა.

2016 წლის იანვარ-მარტში მთლიანი დეპოზიტები 14.4 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 1.1 პროცენტით, ხოლო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 22.3 პროცენტით გაიზარდა.

2016 წლის მარტში, წინა წლის დეკემბერთან შედარებით დოლარიზაციის კოეფიციენტი 0.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა 67.1 პროცენტს გაუტოლდა. ამავე პერიოდში 1.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა სესხების დოლარიზაციის კოეფიციენტი და 66.0 პროცენტი შეადგინა.

საგარეო სექტორი

2016 წლის იანვარ-მარტში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2 145 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 7 პროცენტით ნაკლებია; აქედან ექსპორტი 443 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (12 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 1 703 მლნ აშშ დოლარს (5 პროცენტით ნაკლები). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2016 წლის იანვარ-მარტში 1 260 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 59 პროცენტი შეადგინა.

საქონელბრუნვის მიხედვით საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი 2016 წლის იანვარ-მარტის მონაცემებით მთლიანი საქონელბრუნვის 15.9 პროცენტს შეადგენდა. მას მოსდევს რუსეთი 8.6 და ჩინეთი 7.9 პროცენტული წილებით.

2016 წლის იანვარ-მარტში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 712 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 11 პროცენტით მეტია.

ექსპორტში 11.3 პროცენტით პირველ ადგილზე თურქეთია, შემდეგ მოდიან ჩინეთი 11.2 პროცენტით, რუსეთი 8.7 პროცენტით, ბულგარეთი 8.0 პროცენტით და სომხეთი 6.4 პროცენტით.

იმპორტში პირველი ადგილი თურქეთს უჭირავს 17.1 პროცენტით, შემდეგ მოდიან რუსეთი 8.6 პროცენტით, აზებაიჯანი 8.4 პროცენტით, ჩინეთი 7.0 პროცენტით და ა.შ.

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 19.0 პროცენტით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: მსუბუქი ავტომობილები 8.5 პროცენტი, თხილი და სხვა კაკალი 7.4 პროცენტი, ფეროშენადნობები 6.1 პროცენტი, აზოტოვანი სასუქები 5.3 პროცენტი და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე სამკურნალო საშუალებებია, რომელსაც მთლიან იმპორტში 15.2 პროცენტიანი წილი უკავია. შემდეგ მოდიან: ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები 7.3 პროცენტი, მსუბუქი ავტომობილები 5.8 პროცენტი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები 5.5 პროცენტი და ა.შ.

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2016 წლის იანვარ-მარტში 574 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (2015 წლის იანვარ-მარტთან შედარებით 15 პროცენტით ნაკლები).

ინფორმაცია საქართველოს 2016 წლის იანვარ-მარტის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2016 წლის იანვარ-მარტის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 186 930,4 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2 210 055,6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101,1%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 002 000,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2 048 517,6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102,3%.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 56 850,4 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 27 893,6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 49,1%.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 128 080,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 133 644,4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 104,3%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 65 619,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (60 000,0 ათასი ლარი) 109,4%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 5 614,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (4 900,0 ათასი ლარი) 114,6%-ია.

2016 წლის იანვარ-მარტის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**2,186,930.4**	**2,210,055.6**	**23,125.2**	**101.1**
გადასახადები	**2,002,000.0**	**2,048,517.6**	**46,517.6**	**102.3**
საშემოსავლო გადასახადი	554,000.0	412,834.0	-141,166.0	74.5
მოგების გადასახადი	296,000.0	205,677.9	-90,322.1	69.5
დამატებული ღირებულების გადასახადი	891,000.0	728,097.7	-162,902.3	81.7
აქციზი	215,000.0	226,756.0	11,756.0	105.5
იმპორტის გადასახადი	19,000.0	23,851.7	4,851.7	125.5
ქონების გადასახადი	22,000.0	13,557.8	-8,442.2	61.6
სხვა გადასახადი	5,000.0	437,742.6	432,742.6	8,754.9
გრანტები	**56,850.4**	**27,893.6**	**-28,956.8**	**49.1**
სხვა შემოსავლები	**128,080.0**	**133,644.4**	**5,564.4**	**104.3**

ცალკეული გადასახადების არაერთგვაროვანი შესრულება გამოწვეულია იმ გარემობით, რომ 2016 წლიდან შეიცვალა და გამარტივდა გადასახადის გადამხდელის მიერ ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადის გადახდის სისტემა, ნაცვლად არსებული სახაზინო კოდებისა ყველა გადასახადისთვის დაწესდა ხაზინის ერთიანი სახაზინო კოდი და გაუქმდა კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების სახეების სახაზინო კოდები. გადახდილი თანხების აღრიცხვა კონკრეტული გადასახადის სახეში ხდება გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების შესაბამისად, ხოლო საგადასახადო დეკლარაციის ჩაბარების ვადის დადგომამდე ან გადახდის ვალდებულების წარმოქმნამდე გადახდილი თანხები აღირიცხება სხვა გადასახადში, საიდანაც შემდგომში, საგადასახადო ვალდებულების დადგომის შემდეგ, ხდება მისი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. სხვა გადასახადში აღირიცხება ასევე გაურკვეველი ან არასწორი პირადი მონაცემების მითითებით განხორციელებული გადახდები მათ დაზუსტებამდე. აღრიხცვის ახალი სისტემა გრძელვადიანი პერიოდისთვის უზრუნველყოფს გადასახადების აღრიცხვის გაუმჯობესებას.

ინფორმაცია საქართველოს 2016 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2016 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 989 912,4 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2 050 256,9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103,0%.

2016 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**1,989,912.4**	**2,050,256.9**	**60,344.5**	**103.0**
გადასახადები	1,869,000.0	1,956,491.5	87,491.5	104.7
გრანტები	56,850.4	28,210.5	-28,639.9	49.6
სხვა შემოსავლები	64,062.0	65,554.9	1,492.9	102.3

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 869 000,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 1 956 491,5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 104,7%.

სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 334 365,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (443 000,0 ათასი ლარი) 75,5%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 205 677,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (296 000,0 ათასი ლარი) 69,5%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 728 097,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (891 000,0 ათასი ლარი) 81,7%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 226 756,0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (215 000,0 ათასი ლარი) 105,5%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 23 851,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (19 000,0 ათასი ლარი) 125,5%-ია.
- სხვა გადასახადის სახით მობილიზებულია 437 742,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5 000,0 ათასი ლარი) 8 754,9%-ია.

2016 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
გადასახადები	**1,869,000.0**	**1,956,491.5**	**87,491.5**	**104.7**
საშემოსავლო გადასახადი	443,000.0	334,365.7	-108,634.3	75.5
მოგების გადასახადი	296,000.0	205,677.9	-90,322.1	69.5
დამატებული ღირებულების გადასახადი	891,000.0	728,097.7	-162,902.3	81.7
აქციზი	215,000.0	226,756.0	11,756.0	105.5
იმპორტის გადასახადი	19,000.0	23,851.7	4,851.7	125.5
სხვა გადასახადი	5,000.0	437,742.6	432,742.6	8,754.9

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 56 850,4 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 28 210,5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 49,6%.

ათასი ლარი

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
გრანტები	**28,210.5**
საინვესტიციო გრანტები	**18,640.4**
SDC	22.8
GEF	12.1
EU	6,363.3
SIDA	110.4
IFAD	21.8
MCC	7,695.6
USAID	4,414.6
ხაზინის ანგარიშზე რიცხული რეესტრის გრანტები	**9,570.1**

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 64 062,0 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 65 554,9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102,3%.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- **საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 16 086,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (13 700,0 ათასი ლარი) 117,4%-ია. აქედან,
  - **პროცენტები** - 15 485,3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (13 500,0 ათასი ლარი) 114,7%-ს შეადგენს.
  - **დივიდენდების** სახით მობილიზებულია 3,0 ათასი ლარი.
  - **რენტის** სახით მობილიზებულია 598,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (200,0 ათასი ლარი) 299,3%-ია.
- **საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** მობილიზებულია 19 642,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (14 962,0 ათასი ლარი) 131,3%-ია. აქედან,
  - **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით** - 18 830,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (14 170,0 ათასი ლარი) 132,9%-ია. მათ შორის:
    - სალიცენზიო მოსაკრებელი - 99,8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (190,0 ათასი ლარი) 52,5%-ია;
    - სანებართვო მოსაკრებელი - 13 539,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (9 500,0 ათასი ლარი) 142,5%-ია.
    - სარეგისტრაციო მოსაკრებელი - 410,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (360,0 ათასი ლარი) 114,1%-ია;
    - სახელმწიფო ბაჟი - 4 247,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 300,0 ათასი ლარი) 128,7%-ია;
    - საკონსულო მოსაკრებელი - 306,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (580,0 ათასი ლარი) 52,9%-ია;
    - სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 135,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (160,0 ათასი ლარი) 84,9%-ია.
    - სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლების სახით მობილიზებულია 90,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (80,0 ათასი ლარი) 113,2%-ია.
  - **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან** - 811,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (792,0 ათასი ლარი) 102,4%-ია. მათ შორის:
    - საქონლის რეალიზაციიდან - 10,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (22,0 ათასი ლარი) 48,4%-ია;
    - მომსახურების გაწევიდან - 799,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (770,0 ათასი ლარი) 103,8%-ია;
- **სანქციების (ჯარიმები და საურავები)** სახით მობილიზებულია 14 018,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (13 400,0 ათასი ლარი) 104,6%-ია.
- **ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარდა** მობილიზებულია 3 866,2 ათასი ლარი.
- **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით** მობილიზებულია 11 941,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (22 000,0 ათასი ლარი) 54,3%-ია.

2016 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის
სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
სხვა შემოსავლები	**64,062.0**	**65,554.9**	**1,492.9**	**102.3**
შემოსავლები საკუთრებიდან	**13,700.0**	**16,086.9**	**2,386.9**	**117.4**
პროცენტები	13,500.0	15,485.3	1,985.3	114.7
დივიდენდები		3.0	3.0	
რენტა	200.0	598.6	398.6	299.3
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**14,962.0**	**19,642.1**	**4,680.1**	**131.3**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**14,170.0**	**18,830.9**	**4,660.9**	**132.9**
სალიცენზიო მოსაკრებლები	190.0	99.8	-90.2	52.5
სანებართვო მოსაკრებლები	9,500.0	13,539.4	4,039.4	142.5
სარეგისტრაციო მოსაკრებლები	360.0	410.9	50.9	114.1
სახელმწიფო ბაჟი	3,300.0	4,247.5	947.5	128.7
საკონსულო მოსაკრებელი	580.0	306.9	-273.1	52.9
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	160.0	135.9	-24.1	84.9
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	80.0	90.5	10.5	113.2
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**792.0**	**811.2**	**19.2**	**102.4**
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	22.0	10.6	-11.4	48.4
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	770.0	799.1	29.1	103.8
სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან		1.4	1.4	
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	**13,400.0**	**14,018.5**	**618.5**	**104.6**
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა		**3,866.2**	**3,866.2**	
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	**22,000.0**	**11,941.2**	**-10,058.8**	**54.3**

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 45 941,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (51 300,0 ათასი ლარი) 89,6%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან (ნაშთის გამოკლებით) მობილიზებულ იქნა 5 095,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 800,0 ათასი ლარი) 106,2%-ია.